.GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკა

(დამტკიცებულია შპს „კავკასუს ონლაინის" („**ადმინისტრატორი**") მიერ 2018 წლის 16 აპრილს)

1. **<u>მიზანი.</u>** წინამდებარე .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკა ("**დავების მოგვარების პოლიტიკა**") დამტკიცებულია **ადმინისტრატორის** მიერ და წარმოადგენს თქვენი **სარეგისტრაციო ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს, ადგენს თქვენსა და ნებისმიერ მესამე პირს შორის, ჩვენს (ადმინისტრატორის ან აკრედიტირებული რეგისტრატორის) გარდა, თქვენს სახელზე რეგისტრირებული ინტერნეტ .GE დომენური სახელის გამოყენებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების მოგვარების პირობებს. **დავების მოგვარების პოლიტიკის** მე-4 პარაგრაფის შესაბამისად პროცესი ჩატარდება .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების წესების („**წესები**") და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (World Intellectual Property Organization - WIPO) .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის დამატებითი წესების („**დამატებითი წესები**") შესაბამისად, ორივე დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.wipo.int/amc/en/domains/cctld/ge/index.html.
2. **<u>თქვენი განცხადებები</u>.** დომენური სახელის დასარეგისტრირებლად განაცხადის შეტანით, ან ჩვენთვის დომენური სახელის რეგისტრაციის შენარჩუნების ან განახლების მოთხოვნით თქვენ აცხადებთ და გარანტიას გვაძლევთ, რომ: (ა) თქვენს მიერ **სარეგისტრაციო ხელშეკრულებაში** გაკეთებული განცხადებები არის სრული და სწორი; (ბ) რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, თქვენს მიერ დომენური სახელის რეგისტრაცია არ ხელყოფს ან სხვაგვარად არ დაარღვევს ნებისმიერი მესამე პირის უფლებებს; გ) თქვენ არ არეგისტრირებთ დომენურ სახელს არაკანონიერი მიზნისთვის; დ) თქვენ განზრახ არ გამოიყენებთ დომენურ სახელს ნებისმიერი მარეგულირებელი კანონმდებლობის ან რეგულაციის დარღვევით. თქვენი პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა თქვენს მიერ დომენური სახელის რეგისტრაცია ლახავს ან არღვევს თუ არა რომელიმე მესამე პირის ულებებს.
3. **<u>გაუქმება, გადაცემა, ცვლილებების შეტანა.</u>** ჩვენ გავაუქმებთ, გადავცემთ, ან სხვაგვარად შევიტანთ ცვლილებებს დომენური სახელის სარეგისტრაციო მონაცემებში შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

   a. მე-8 პარაგრაფით გათვალისწინებული პირობებით, თუ თქვენგან ან თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლისგან მივიღებთ წერილობითი ან შესაბამისი ელექტრონული ფორმით ინსტრუქციას ასეთი ქმედების განხორციელების მოთხოვნით;

   ბ. შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოსგან ან საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან ასეთი ქმედების განხორციელების შესახებ მოთხოვნის მიღების შემთხვევაში; ან/და

გ. **ადმინისტრაციული პანელის** გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელი გადაწყვეტილებითაც იმ ნებისმიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომლის მხარეც ხართ თქვენ და რომელიც მიმდინარეობს წინამდებარე **დავების მოგვარების პოლიტიკის** ან **ადმინისტრატორის** მიერ შემდგომ განახლებული **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად (გთხოვთ, ქვემოთ იხილოთ პარაგრაფები 4(i) და (k)) მოთხოვნილია ასეთი ქმედების განხორციელებას.

ჩვენ ასევე გვაქვს უფლება გავაუქმოთ, გადავცეთ ან სხვაგვარად შევიტანოთ დომენური სახელის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები თქვენი **სარეგისტრაციო ხელშეკრულების** პირობების ან სხვა იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე მოთხოვნის შესაბამისად.

4. <u>სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოება</u>

წინამდებარე პარაგრაფში მოცემულია ისეთი დავების სახეობა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც თქვენ ვალდებული ხართ მიიღოთ მონაწილეობა სავალდებულო ადმინისტრაციულ წარმოებაში. ასეთი წარმოების ჩატარებას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრი („**WIPO-ს ცენტრი**“).

a. **შესაბამისი დავები.** თქვენ ვალდებული ხართ იყოთ სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოების მხარე იმ შემთხვევაში, თუ **წესების** შესაბამისად **WIPO-ს ცენტრს** მიმართავს მესამე მხარე („**მოსარჩელე**“) და დაასაბუთებს რომ:

(i) თქვენი დომენური სახელი არის იდენტური ან მსგავსი იმ სასაქონლო ნიშნისა ან მომსახურების ნიშნისა რომელ სასაქონლო ან მომსახურების ნიშანზეც მოსარჩელეს აქვს განსაკუთრებული უფლებები; და

(ii) თქვენ არ გაქვთ დომენურ სახელთან დაკავშირებით უფლებები ან კანონიერი ინტერესი; და

(iii) თქვენი დომენური სახელი რეგისტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

ადმინისტრაციული წარმოების დროს მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ ჩამოთვლილი სამივე ელემენტი არის სახეზე.

b. **არაკეთილსინდისიერი რეგისტრაციის და გამოყენების მტკიცებულება.** 4(a) (iii) პარაგრაფის მიზნებისთვის დომენური სახელის არაკეთილსინდისიერი რეგისტრაციისა და გამოყენების მტკიცებულება სახეზეა, თუ **პანელი** დაადგენს, მათ შორის და არამხოლოდ, შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების არსებობას:

(i) გარემოებები, რომლებიც მიუთითებს, რომ თქვენ დომენური სახელი დაირეგისტრირეთ ან დომენურ სახელზე უფლებები შეიძინეთ ძირითადად

იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს, რომელიც ფლობს სასაქონლო ნიშანზე ან მომსახურების ნიშანზე განსაკუთრებულ უფლებას ან ასეთი მოსარჩელის კონკურენტს მიჰყიდოთ, მიაქირავოთ ან სხვაგვარად გადასცეთ დომენური სახელი ისეთ ღირებულებად, რომელიც აღემატება დომენურ სახელთან პირდაპირ დაკავშირებულ, თქვენს მიერ გაღებულ დოკუმენტირებულ ხარჯებს; ან

(ii) თქვენ დაირეგისტრირეთ დომენური სახელი იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოთ სასაქონლო ნიშანზე ან მომსახურების ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს მისი ნიშანი ასახოს შესაბამის დომენურ სახელში, იმ პირობით, რომ თქვენ მსგავსი ტიპის ქმედებებში იყავით ჩართული; ან

(iii) თქვენ დაირეგისტრირეთ დომენური სახელი ძირითადად იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოთ კონკურენტს ბიზნეს საქმიანობის განხორციელებაში; ან

(iv) დომენური სახელის გამოყენებით თქვენ განზრახ, კომერციული მოგების მიღების მიზნით სცადეთ თქვენს ვებ-გვერდზე ან სხვა ონლაინ ადგილმდებარეობაზე ინტერნეტ მომხმარებლების მიზიდვა, ისე რომ შექმენით ალბათობა, რომ ინტერნეტ მომხმარებელი შევიდოდა შეცდომაში მოსარჩელის ნიშანთან დაკავშირებით და განიხილავდა, როგორც თქვენი ვებ-გვერდის ან ადგილმდებარეობის ან თქვენს ვებ-გვერდზე ან ადგილმდებარეობაზე განთავსებული საქონლის ან მომსახურების წყაროს, სპონსორს, დაკავშირებულ პირს, ან ნების დამრთველს.

c. **როგორ დაასაბუთოთ საჩივარზე შესაგებელში თქვენი უფლებისა და კანონიერი ინტერესის არსებობა დომენურ სახელთან დაკავშირებით.** როდესაც მიიღებთ საჩივარს თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ **წესების** მე-5 პარაგრაფით იმისთვის,რომ გაეცნოთ თუ როგორ მოამზადოთ შესაგებელი. 4(a) (iii) პარაგრაფის მიზნებისთვის დომენურ სახელთან დაკავშირებით თქვენი უფლების და კანონიერი ინტერესის არსებობა სახეზეა, თუ **პანელი** არსებული მტკიცებულებების შეფასებით დაადგენს, რომ დასტურდება, მათ შორის და არამხოლოდ, ნებისმიერი შემდეგი გარემოების არსებობა:

(i) დავის შესახებ ნებისმიერი სახის შეტყობინების მიღებამდე, მომსახურების ან საქონლის კეთილსინდისიერი შეთავაზების დროს თქვენ იყენებთ დომენურ სახელს ან სახელს, რომელიც შეესაბამება დომენურ სახელს ან გაქვთ ასეთი გამოყენების მცდელობა; ან

(ii) თქვენ (როგორც ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაცია) ცნობილი ხართ დომენური სახელით, მიუხედავად იმისა, რომ არ გაქვთ სასაქონლო ნიშანზე ან მომსახურების ნიშანზე შეძენილი განსაკუთრებული უფლებები; ან

(iii) თქვენ კანონიერად, არაკომერციული მიზნებისთვის ან სამართლიანად იყენებთ დომენურ სახელს, კომერციული სარგებლის მიღების მიზნის ან მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის, ან სასაქონლო ნიშნის ან მომსახურების ნიშნის გაუფასურების გარეშე.

d. **პროვაიდერი.** მოსარჩელემ სარჩელი უნდა წარუდგინოს WIPO-ს ცენტრს. WIPO-ს ცენტრი უზრუნველყოფს პროცესის ადმინისტრირებას.

e. **წარმოების ინიცირება, პროცესი და ადმინისტრაციული პანელის არჩევა. წესებით** განსაზღვრულია წარმოების ინიცირებისა და ჩატარების პროცედურა და დავის განმხილველი პანელის არჩევის წესი („**ადმინისტრაციული პანელი**“).

f. **გაერთიანება**. იმ შემთხვევაში, თუ თქვენსა და მოსარჩელეს შორის არის რამდენიმე დავა, თქვენ ან მოსარჩელეს შესაძლებლობა გაქვთ იშუამდგომლოთ, რომ დავები გაერთიანდეს ერთი **ადმინისტრაციული პანელის** ქვეშ. ასეთი შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნას იმ პირველ **ადმინისტრაციულ პანელთან,** რომელსაც გადაეცა მხარეებს შორის მიმდინარე დავა განსახილველად. **ადმინისტრაციული პანელი** თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას გააერთიანოს ყველა ან ნებისმიერი დავა იმ პირობით, რომ ის დავები რომელიც უნდა გაერთიანდეს მიმდინარეობს წინამდებარე **დავების მოგვარების პოლიტიკის** ან ადმინისტრატორის მიერ შემდგომ განახლებული **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად.

g. **ხარჯები. დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად **ადმინისტრაციული პანელის** წინაშე არსებულ დავასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რომელიც დადგენილია **WIPO-ს ცენტრის** მიერ ეკისრება მოსარჩელეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ **ადმინისტრაციული პანელის** შემადგენლობა გაზარდოთ ერთიდან სამ არბიტრამდე, როგორც ეს მოცემულია **წესების** 5 (b)(iv) პარაგრაფში, რა შემთხვევაშიც ყველა ხარჯი თქვენსა და მოსარჩელეს შორის თანაბრად გადანაწილდება.

h. **ჩვენი ჩართულობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.** ჩვენ არ ვმონაწილეობთ და არ მივიღებთ მონაწილეობას **ადმინისტრაციული პანელის** წინაშე დავის წარმოების უზრუნველყოფასა ან ადმინისტრირებაში. ამასთან ერთად, **ადმინისტრაციული პანელის** გადაწყვეტილების შედეგად ჩვენ არ დაგვეკისრება პასუხისმგებლობა.

i. **ზიანის ანაზღაურების საშუალება**. **ადმინისტრაციული პანელის** წინაშე მიმდინარე ნებისმიერი დავის ფარგლებში მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საშუალება შემოიფარგლება თქვენი დომენური სახელის გაუქმების ან მოსარჩელის სახელზე თქვენი დომენური სახელის რეგისტრაციის გადაცემის მოთხოვნით.

j. **შეტყობინება და გამოქვეყნება. WIPO-ს ცენტრმა** უნდა შეგვატყობინოს **ადმინისტრაციული პანელის** მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ იმ დომენურ სახელთან დაკავშირებით რომელიც თქვენ დარეგისტრირებული გაქვთ ჩვენთან. **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად მიღებული ყველა გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ინტერნეტით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ადმინისტრაციული პანელი** გამონაკლის შემთხვევაში გადაწყვეტს, დაარედაქტიროს და არ გამოაქვეყნოს გადაწყვეტილების გარკვეული ნაწილი.

k. **სასამართლო წარმოების ხელმისაწვდომობა.** მე-4 პარაგრაფში მოცემული სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოება არ გიკრძალავთ არც თქვენ და არც მოსარჩელეს, რომ ასეთი სავალდებულო ადმინისტრაციული პროცესის დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ დავა დამოუკიდებლად განსახილველად

წარუდგინოთ შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს. თუ **ადმინისტრაციული პანელი** გადაწყვეტს, რომ თქვენი დომენური სახელის რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს ან უნდა განხორციელდეს გადაცემა, მანამ სანამ აღვასრულებთ გადაწყვეტილებას ჩვენ დავიცდით WIPO-ს ცენტრისგან **ადმინისტრაციული პანელის** გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ათი (10) სამუშაო დღის (როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სათაო ოფისის ადგილმდებარეობის კანონმდებლობით) განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ ჩვენ აღვასრულებთ გადაწყვეტილებას გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენგან ასეთი ათ (10) სამუშაო დღიანი პერიოდის განმავლობაში არ მივიღებთ ოფიციალურ დოკუმენტაციას (როგორიცაა სარჩელის ასლი, სასამართლოს მიერ დამოწმებული დოკუმენტი), რომ თქვენ დაიწყეთ სასამართლო წარმოება მოსარჩელის წინააღმდეგ საქართველოს სასამართლოში. გთხოვთ, დეტალებისთვის იხილოთ **წესების** 3 (b)(xiii) პარაგრაფი. ათი (10) სამუშაო დღის განმავლობაში ასეთი დოკუმენტის მიღების შემთხვევაში ჩვენ არ აღვასრულებთ **ადმინისტრაციული პანელის** გადაწყვეტილებას და არ განვახორციელებთ რაიმე ქმედებას მანამ სანამ არ მივიღებთ: (i) მხარეთა შორის დავის დასრულების დამადასტურებელ ჩვენთვის მისაღებ მტკიცებულებას; (ii) ჩვენთვის მისაღებ მტკიცებულებას, რომ თქვენი სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული ან იქნა გამოხმობილი; (iii) სასამართლოს განჩინებას თქვენი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თქვენ არ გაქვთ დომენური სახელის გამოყენების გაგრძელების უფლება.

5. <u>**სხვა სახის დავები და სასამართლო წარმოება.**</u> თქვენს მიერ დომენური სახელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა დავა თქვენსა და მესამე პირს შორის, ჩვენს გარდა, რომელიც არ არის წარმოებული სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოების წესით მე-4 პარაგრაფის შესაბამისად შესაძლებელია გადაწყდეს თქვენსა და ასეთ მესამე პირს შორის ნებისმიერი სასამართლოს, არბიტრაჟის ან სხვა არსებული დავის განმხილველი ორგანოს მეშვეობით.
6. <u>**ჩვენი ჩართულობა დავებში.**</u> ჩვენ არც ერთი ფორმით არ მივიღებთ მონაწილეობას თქვენსა და მესამე პირს შორის, ჩვენს გარდა, წარმოებულ დავაში, რომელიც დაკავშირებულია თქვენს მიერ დომენური სახელის რეგისტრაციასთან და გამოყენებასთან. თქვენ არ უნდა დაგვასახელოთ წარმოების მხარედ ან სხვაგვარად ჩაგვრთოთ წარმოებაში. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ დავსახელდებით, როგორც მხარე ნებისმიერ ასეთ წარმოებაში, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გამოვიყენოთ დაცვის ნებისმიერი საშუალება, როგორც ამას საჭიროდ ჩავთვლით, და მივიღოთ ნებისმიერი ზომა ინტერესების დასაცავად.
7. <u>**არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.**</u> ამ **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად ჩვენ არ გავაუქმებთ, გადავცემთ, გავააქტიურებთ, შევაჩერებთ ან სხვაგვარად არ განვახორციელებთ ნებისმიერი დომენური სახელის სტატუსის ცვლილებას გარდა იმ შემთხვევისა, როგორც ეს მოცემულია მე-3 პარაგრაფში.
8. <u>**ცვლილებები დავის მიმდინარეობისას**</u>

a. **დომენური სახელის ახალი მფლობელისათვის გადაცემა.** თქვენ არ გაქვთ უფლება გადასცეთ დომენური სახელის რეგისტრაცია ახალ მფლობელს შემდეგ შემთხვევებში: (i) მე-4 პარაგრაფის შესაბამისად მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას ან ასეთი პროცესის დასრულებიდან თხუთმეტი (15) სამუშაო დღის (როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სათაო ოფისის ადგილმდებარეობის კანონმდებლობით) განმავლობაში; ან (ii) თქვენს სახელზე რეგისტრირებულ დომენურ სახელთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოების დროს. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გავაუქმოთ ნებისმიერი ისეთი დომენური სახელის სხვა პირისთვის გადაცემა, რომელიც ხორციელდება წინამდებარე პარაგრაფში მოცემული პირობების საწინააღმდეგოდ.

b. **რეგისტრატორის ცვლილება**. თქვენ არ გაქვთ უფლება მე-4 პარაგრაფის შესაბამისად მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას ან ასეთი პროცესის დასრულებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის (როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სათაო ოფისის ადგილმდებარეობის კანონმდებლობით) განმავლობაში შეცვალოთ თქვენი დომენური სახელის რეგისტრატორი.

9. **<u>პოლიტიკის ცვლილებები.</u>** ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს შევცვალოთ **დავების მოგვარების პოლიტიკა**. წესების ძალაში შესვლამდე სულ მცირე 30 ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე WIPO-ს **ცენტრი** გამოაქვეყნებს განახლებულ **დავების მოგვარების პოლიტიკას** შემდეგ ვებ-გვერდზე http://www.wipo.int/amc/en/domains/cctld/ge/index.html. თუ **დავების მოგვარების პოლიტიკაზე** დაყრდნობით წარდგენილია საჩივარი WIPO-ს **ცენტრში,** თქვენზე დავის დასრულებამდე გავრცელდება **დავების მოგვარების პოლიტიკის** ის ვერსია, რომელიც ძალაში იყო საჩივრის წარდგენისას, დავის დასრულების შემდეგ თქვენთვის დომენური სახელის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავაზე სავალდებულო ძალის მქონე გახდება ყველა ასეთი ცვლილება, მიუხედავად იმისა დავა წარმოიშვა ცვლილებების ძალაში შესვლისას თუ ძალაში შესვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ეთანხმებით **დავების მოგვარების პოლიტიკის** ცვლილებებს, თქვენი უფლების დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს დომენური სახელის რეგისტრაციის გაუქმება, იმ პირობით რომ თქვენ უკან არ დაგიბრუნდებათ ჩვენთან გადახდილი საფასურის რაიმე ნაწილი. განახლებული **დავების მოგვარების პოლიტიკა** გავრცელდება თქვენზე მანამ სანამ არ გააუქმებთ დომენური სახელი რეგისტრაციას.